გზამკვლევი
კევინ კარტერის ფოტოს ამბავი:
სამოქალაქო ომი, პროფესიული მოვალეობა და საზოგადოების კრიტიკა
რესურსის ავტორი: თათია ბარბაქაძე
დიზაინი ხათუნა ციხელაშვილი
2024 წელი

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: დოკუმენტური ფოტოს მნიშვნელობის გააზრება, ფოტოს კონტექსტში განხილვა და ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება.

სავალდებულო თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია შემთხვევის ანალიზის სასწავლო მეთოდი.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარების განვითარება.

გაკვეთილის თემა კევინ კარტერის მიერ გადაღებულ ფოტოს შეეხება.

რესურსის მიზანია, მოსწავლეებმა კონტექსტში გაიაზრონ დოკუმენტური ფოტოს მნიშვნელობა და გააცნობიერონ, რომ ვიზუალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული მოვლენები და ფაქტები სხვადასხვა კუთხით ანალიზს მოითხოვს.

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 1

გაკვეთილის დაწყებამდე საჭიროა, მასწავლებელმა სამუშაო ფურცლების ოთხი, ხოლო ტექსტის იმდენი ეგზემპლარი ამობეჭდოს, რამდენი მოსწავლეცაა კლასში. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილის თემა უნდა გააცნოს. უთხრას, რომ გაკვეთილი დოკუმენტურ ფოტოგრაფიას შეეხება. ამის შემდეგ მოსწავლეები 4 ჯგუფად უნდა გაანაწილოს და საკითხავი მასალა (ტექსტის ყველა ეგზემპლარი და სამუშაო ფურცლები) დაარიგოს. სამუშაო ფურცლების 4 ეგზემპლარი საჭიროა იმისთვის, რომ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ ჯგუფმა შეთანხმებული პოზიცია ერთ ფურცელზე დაწეროს. ჯგუფებში ბავშვების გადანაწილების შემდეგ მასწავლებელმა კლასს დოკუმენტური ფოტოების შესახებ ტესტური დავალება უნდა შესთავაზოს.

ნაბიჯი 2

ტესტური დავალების მიზანია მოსწავლეებისთვის დოკუმენტური ფოტოგრაფიის დანიშნულებაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა. ქვიზის შესრულებით მოსწავლეები გაიაზრებენ ფაქტების ფირზე აღბეჭდვის მნიშვნელობას. იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვებს კითხვებზე პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს ფოტოებზე ყურადღებით დაკვირვება. ფოტოზე აღბეჭდილი გარემო, პიროვნება, წარწერა თუ სხვა სახის ვიზუალური ნიშანი ბავშვებს სწორი პასუხების მოძებნაში დაეხმარება.

ნაბიჯი 3

პირველი აქტივობის შესრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ გაკვეთილი შემთხვევის ანალიზის მეთოდით წარიმართება. შემთხვევის ანალიზი არის სწავლების მეთოდი, რა დროსაც მოსწავლეები მსჯელობენ რეალურ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ არგუმენტირებული მსჯელობის უნარს, ეძებენ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს,

ასაბუთებენ მათ მართებულობას, საჭიროებას და აკავშირებენ რეალობასთან[1]. პედაგოგმა პრეზენტაციის ჩვენებასთან ერთად ბავშვებს ტექსტის შინაარსი მოკლედ უნდა მოუთხროს. ამის შემდეგ მოსწავლეები საკითხავ მასალას (ტექსტი და საკითხები) დეტალურად უნდა გაეცნონ. გაკვეთილის დასრულებამდე პრეზენტაცია მთავარ ფოტოზე, მეხუთე სლაიდზე, უნდა იყოს გაჩერებული.

ნაბიჯი 4

ჯგუფებში გადანაწილებული მოსწავლეები საკითხავი მასალის გაცნობის შემდეგ მსჯელობასა და კითხვებზე პასუხის გაცემას იწყებენ. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, რომ ყოველი მათი პასუხი არგუმენტირებულად იყოს დასაბუთებული. ამასთანავე, კითხვებზე პასუხის გაცემისას თუკი ჯგუფში შეთანხმებული პოზიცია არ არსებობს, მოსწავლეებმა სამუშაო ფურცლებზე ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა ჩამოწერონ.

ნაბიჯი 5

ჯგუფში მსჯელობის შემდეგ საკლასო დისკუსია იმართება. ჯგუფის წევრები რიგრიგობით კითხულობენ თავიანთი სამსჯელო საკითხის შესაბამის კითხვებს და კლასის მონაწილეობით არგუმენტირებულად მსჯელობენ, განიხილავენ თავიანთ ვარიანტებს და უსმენენ კლასელების მოსაზრებებს. განხილვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასში პოზიტიურ გარემოს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოსწავლეს განსხვავებული მოსაზრება ექნება, მნიშვნელოვანია, თანაკლასელებმა მის მიმართ პატივისცემა გამოიჩინონ, მოუსმინონ და თავიანთი აზრი კორექტულად გამოთქვან.

რეკომენდაცია მასწავლებელს: არსებობს რამდენიმე ვერსია იმაზე, თუ რა მოხდა ფოტოს გადაღების შემდეგ. ერთი ვერსიის თანახმად, კევინ კარტერმა ფრინველი ბავშვის სიახლოვეს მოაშორა. მეორე ვერსიის მიხედვით კი, ბავშვმა სურსათის მიღების

[1]"მასწავლებლის წიგნი: ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში", სოფიკო ლობჟანიძე, სწავლების ინტერაქტიული მეთოდები - შემთხვევის ანალიზი, გვ. 105

ცენტრამდე მიაღწია, სადაც მისი მშობელიც იმყოფებოდა[2]. მასწავლებელს შეუძლია ეს ინფორმაცია მოსწავლეებს კევინ კარტერის შესახებ მსჯელობის დროს მიაწოდოს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყოველი საკითხის მეოთხე კითხვა მოსწავლეების პირად გამოცდილებას შეეხება. შესაბამისად, მასწავლებელი გულისხმიერებითა და განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს მოსწავლეების პასუხებს.

ნაბიჯი 6

აზრების შეჯერების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას აძლევს. სასურველია, შეფასებისას პედაგოგმა "სენდვიჩის მეთოდი" გამოიყენოს.

[2] გრეგ მარინოვიჩი, ჟოაო სილვა, „The Bang Bang Club", გვ. 151-152

რესურსის მომზადებისას გამოყენებული წყაროები:

1. გრეგ მარინოვიჩი, ჟოაო სილვა „The Bang Bang Club”; პირველად წიგნი გამოქვეყნდა დიდ ბრიტანეთში 2000 წელს, უილიამ ჰაინემანის მიერ.
2. “მასწავლებლის წიგნი: ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2016 წ. https://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98.pdf
3. https://www.pulitzer.org/prize-winners-by-category/217
4. https://digitallibrary.un.org/record/136104?v=pdf